ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

გიგზავნით 2016 წლის ანგარიშს ნიმუშის მიხედვით.

(იხ. დანართი 14 ფურცელი)

ისნის რაიონის საკრებულოს დეპუტატი ზურაბ ნეფარიძე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელია რაოდენობა 15 ფურცელი
№ 10/17605 25.10.16 წ.

<u>დანართი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ზურაბ ნეფარიძის

2016 წლის ანგარიში

- **საკრებულოს სხდომებში, კომისიებსა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია**

ფრაქცია - ეროვნული ფორუმი

2016 წლის იანვრიდან დღემდე ფრაქციამ ჩაატარა 18 სხდომა. სხდომაზე განხილული იყო 85 საკითხი

იურიდიულ საკითხთა კომისია

ზურაბ ნეფარიძე 2016 წელს დაესწრო იურიდიულ საკითხთა კომისიის 27 სხდომას და კომისიის წევრებთან ერთად მონაწილეობა მიიღო 235 საკითხის განხილვაში, მათ შორის;

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ადრეული ძუძუს კიბოს მკურნალობის დაფინანსების ქვეპროგრამის დაფინანსების წესი);

საქართველოს დედაქალაქის-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ მგზავრთა დაგაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიის შეღავათიანი მგზავრობის შესახებ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის“ საკრებულოს დადგენილების პროექტი;

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტი;

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დაფუძნების და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტი;

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ქვეპროგრამით „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები“ გათვალისწინებული ღონისძიების - „საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება“ განხორციელების პროექტი;

ამასთან, ბატონმა ზურაბ ნეფარიძემ იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე კომისიის სხვა წევრებთან ერთად მონაწილეობა მიიღო არაერთი განკარგულების პროექტის განხილვაში, რომელიც შეეხებოდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარითა და უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის საკითხებს. ისევე, როგორც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე საკითხები.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისია

2016 წლის იანვრიდან დღემდე ზურაბ ნეფარიძე დაესწრო ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის 16 სხდომას და მონაწილეობა მიიღო 21 საკითხის განხილვაში, მათ შორის

- ქ.თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა:

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ქ.თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებების შესახებ:

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის „უფლება სათანადო საცხოვრისზე" განხილვა:

თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებების პრეზენტაცია:

ააოპ „ლილოს მიუსაფართა თავშესაფრის" ფუნქციონირების და ზოგადი საცხოვრებელი პირობების შესახებ:

გარდა ამისა, ზურაბ ნეფარიძემ მონაწილეობა მიიღო დევნილების, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების განცხადებების განხილვაში.

- ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

ქ.თბილისის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ ნეფარიძის ბიუროში 2016 წლის განმავლობაში შემოსულია 382 განცხადება, აქედან

შუამდგომლობა გაეწია - 195

ერთჯერადი ფინანსური დახმარება - 87 (საერთო ღირებულება 2200)

მედიკამენტები - 48 (საერთო ღირებულება 2772)

ოპერაცია - 11 (საერთო ღირებულება 4820)

სამედიცინო მომსახურება - 24 (საერთო ღირებულება 14062)

შეშა და საშენ. მასალა - 9

საბავშვო ბაღში დარეგისტრირება -8

ყოველდღიურად დეპუტატის ბიუროში მოქალაქეების მიღებაა. ისინი სხვადასხვა პრობლემებით მიმართავენ დეპუტატს. მოსახლეობას აწუხებს სამედიცინო მომსახურეობასთან, სოციალურად დაუცველთა სტატუსთან და უმუშევრობის პრობლემები. დეპუტატი თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამის შუამდგომლობას უწევს მათ.

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

ინფრასტრუქტურული პროექტი

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზურაბ ნეფარიძემ დედაქალაქის მერთან დავით წარმანისთან და რაიონის გამგებელთან ვახტანგ ქიზიყურაშვილთან ერთად სამგორის # 18-ში მიმდინარე საგზაო სამუშაოები დაათვალიერა და იქ მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა.

აღნიშნულ ტერიტორიაზე გზის კაპიტალური შეკეთება დეპუტატის შუამდგომლობით მიმდინარეობს. საგზაო სამუშაოების ფარგლებში, 3000 მ2 ტერიტორიაზე ბორდიურებისა და სათამაშო მოედნის მოწყობაა დაგეგმილი.

ზურაბ ნეფარიძის განცხადებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ასფალტის საფარი 40 წელზე მეტია არ შეკეთებულა, რაც პრობლემას უქმნიდა როგორც სასწრაფო სამედიცინო და სამაშველო, ასევე მუნიციპალური ტრანსპორტის გადაადგილებას. აღნიშნული პროექტი, რომელიც მოსახლეობის თხოვნისა და რაიონის მაჟორიტარის უშუალო მხარდაჭერით განხორციელდა, იანვარში დაიწყო და თებერვლის ბოლოს დასრულდა.

3 მარტი - დედის დღე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზურაბ ნეფარიძემ 3 მარტი - დედის დღე, ბერი გაბრიელ სალოსისა და სამრეწველო დასახლებაზე მცხოვრებ ქალბატონებს მიულოცა.

მაჟორიტარმა ქალბატონებს ბედნიერი დედობა და ქვეყნისათვის სასახელო შვილების გაზრდა უსურვა.

8 მარტი - უფასო გამოკვლევა პედეგოგებისთვის

დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ნეფარიძის ინიციატივით, სამაჟორიტარო ოლქში მდებარე საბავშვო ბაგა - ბაღების პედაგოგებსა და თანამშრომლებს სამედიცინო გამოკვლევები უფასოდ ჩაუტარდათ. საქველმოქმედო ღონისძიება ქალთა კვირეულის ფარგლებში მოეწყო, რომელშიც მონაწილეობა რაიონის სამივე N29-ე, 109-ე და 215-ე საბავშვო ბაგა -ბაღების 100-მდე თანამშრომელმა მიიღო.

აქცია N19-ე სამკურნალო პროფილაქტიკურ ცენტრში გაიმართა, სადაც მოქალაქეება სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოკრინოლოგიური და სხვა სახის გამოკვლევები უფასოდ მიიღეს.
როგორც დეპუტატმა აღნიშნა, მსგავსი ტიპის ღონისძიებები რაიონის მასშტაბით, მომავალშიცაა დაგეგმილი.

8 მარტი - მილოცვა ქალბატონებს უმწეოთა სასადილოში

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზურაბ ნეფარიძემ ქალბატონებს 8 მარტი მიულოცა. დეპუტატი უმწეოთა უფასო სასადილოში იმყოფებოდა, ბენეფიციარებს ტკბილეული და ყვავილები მიართვა. შეხვედრამ საკმაოდ თბილ გარემოში ჩაიარა. მაჟორიტარმა ქალბატონებს უკეთესი ხვალინდელი დღე უსურვა.

2 აპრილი - აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა - ისნის რაიონის მაჟორიტარმა ზურაბ ნეფარიძემ 2 აპრილი - აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე საკრებულოს იურიდიული კომისიის თავჯდომარე-თეოდორე კობახიძესთან და საბურთალოს რაიონის გამგეობის წარმომადგენელთან ერთად აღნიშნა. ღონისძიება ჩატარდა საბურთალოს ბაზრის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, რომელშიც მონაწილეობდნენ ორგანიზაცია "ბავშვი და გარემო"-ს აღსაზრდელები.

დასასრულს 30 ბავშვს გადაეცა საჩუქრები, მშობლებმა დეპუტატ ნეფარიძეს მადლობა გადაუხადეს.

ქართული ენის კვირეული N81 საჯარო სკოლაში

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ ნეფარიძე ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში განხორციელებულ პროექტს "ჩვენ თქვენი მეგობრები ვართ" დაესწრო. ქ.თბილისის N 81 საჯარო სკოლაში 2015 წლის ნოემბრის თვიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით ამოქმედდა საქართველოში ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის პირთათვის ქართული ენის შემსწავლელი პროგრამა. სკოლაში ქართულ ენას ეუფლება 64 უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლე, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო მოუწიათ სამშობლოს მიტოვება. სკოლაში გამოფენილი იყო ქართველი და ერაყელი ბავშვების ნამუშევრები- გზავნილები. დასასრულს შედგა მეგობრული შეჯიბრი ფეხბურთში, გამარჯვებულ გუნდს დეპუტატმა თასი გადასცა.

„უკრაინული გაზაფხული კიევის ქუჩაზე"

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ ნეფარიძე ჩუღურეთის რაიონში გამართულ კულტურულ ღონისძიებას "უკრაინული გაზაფხული კიევის ქუჩაზე" დაესწრო, რომელიც გაიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" თავმჯდომარის რიმა ბერაძის, ფრაქციასთან არსებული ეთნიკურ უმცეროსაბათა საბჭოს, ასევე საქართველოში უკრაინული დიასპორისა და უკრაინის საელჩოს ერთობლივი ინიციატივით.

ღონისძიება, რომელსაც თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს წევრები, აგრეთვე დედაქალაქის მერი დავით ნარმანია და მერის მოადგილეები ესწრებოდნენ, ქართველი და უკრაინელი მხატვრების მიერ კედლების მოხატვით დაიწყო. ფესტივალის ფარგლებში, სტუმრებმა საქართველოში მოქმედი უკრაინულ-ქართული ბიზნეს სექტორის საქმიანობის ამსახველი გამოფენა დაათვალიერეს. კულტურულ ღონისძიებაზე, სადაც ასევე, უკრაინული ღვინის დეგუსტაცია და უკრაინული სამზარეულოს გაცნობითი ტურიც მოეწყო. დედაქალაქის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები თბილისელებს და მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიესალმნენ და დღევანდელი დღე მიულოცეს.

26 მაისი - დამოუკიდებლობის დღე

დეპუტატი ზურაბ ნეფარიძე ხალხთან ერთად შეხვდა დამოუკიდებლობის დღეს



- ეტლის გადაცემა

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზურაბ ნეფარიძემ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინვალიდთა დასაქმების კავშირი"-ს ხელმძღვანელთან ერთად, რაიონში მცხოვრებ ორ შეზღუდულ შესაძლებლობების მქონე პირს ეტლი გადასცა.

მოქალაქეებს, რომელთაც ეტლი გადაეცათ, დიდ ხანია ერთ ოთახში უწევთ ცხოვრება, მიუხედავად იმისა, რომ არასრულყოფილი ჰქონდათ საბუთები, დეპუტატის დახმარებით ორივე მოქალაქე შეძლებს ხალხში ინტეგრაციას, დამოუკიდებლად გადაადგილებასა და გასეირნებას.

1 ივნისი - ბავშვთა კვირეული - შეჯიბრი ფეხბურთში

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ნეფარიძის ინიციატივით, ბავშვთა კვირეულის ფარგლებში გაიმართა შეჯიბრი ფეხბურთში - ქ.თბილისის N81 საჯარო სკოლის პედაგოგებსა და მშობლებს შორის. მაჟორიტარმა ორივე გუნდს სამახსოვროდ გადასცა მედლები, ხოლო გამარჯვებულ პედაგოგებს პირველი ადგილისათვის განკუთვნილი თასი.

ბავშვთა დაცვის დღე 215-ე საბავშვო ბაგა-ბაღში

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ ნეფარიძე, განათლებისა და კულტურის კომისიის თავჯდომარე თამარ ტალიაშვილთან და ისნის რიონის გამგებელ ვახტანგ ქიზიყურაშვილთან ერთად, ქ.თბილისის N215 საბავშვო ბაგა-ბაღში 1 ივნისისადმი მოწყობილ ღონისძიებას „ეს ჩვენი საქართველოა"-ს დაესწრო. დეპუტატებმა აღსაზრდელებს ბავშვთა დაცვის დღე მიულოცეს და დაწყებამდე ბაგა-ბაღის ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და ბაგა-ბაღის ადმინისტრაციაში არსებულ საჭიროებებსა და გამოწვევებს გაეცნენ.



თოჯინების თეატრი საბავშვო ბაღებში

ქ.თბლისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ნეფარიძის ინიციატივით ნავთლუღში მდებარე ქ.თბილისის N 215 და 109 საბავშვო ბაგა-ბაღებში ბავშვთა კვირეულის ფარგლებში პატარებისათვის ჩატარდა თოჯინების თეატრი. წარმოდგენა ძალიან მოეწონათ ბაღის აღსაზრდელებს, დეპუტატი მათ მომავალშიც დაჰპირდა მსგავს ღონისძიებებს.

არქიტექტორებთან შეხვედრა

როგორც ცნობილია, დეპუტატ ზურაბ ნეფარიძის ინიციატივით წულაძე -ციხისძირის ქუჩების კვეთაზე (ყოფილი საქვაბის ტერიტორია) უნდა აშენდეს ბერი გაბრიელ სალოსის სახელობის ტაძარი. დეპუტატს აღნიშნულ ტერიტორიაზე მორიგი შეხვედრა ჰქონდა ტაძრის არქიტექტორთან და აღმშენებელთან, სადაც ბერი გაბრიელის ხსენების დღეს - 2 ნოემბერს საფუძველი ჩაეყრება და დაიწყება ტაძრის მშენებლობა.

ბატონი გიორგი ალიბეგაშვილი და დავით ნარმანია ისანში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე ბატონი გიორგი ალიბეგაშვილი და ქალაქ თბილისის მერი ბატონი დავით ნარმანია ისანს სტუმრობდნენ. როგორც ცნობილია , ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ნეფარიძის ინიციატივით წულაძის 23-ში იგეგმება ბერი გაბრიელ სალოსის სახელობის ტაძრის მშენებლობა. სტუმრებმა დაათვალიერეს ტერიტორია, სადაც ამჟამად ძველი შენობის დემონტაჟი მიმდინარეობს.

დეპუტატის ინიციატივა

დეპუტატ ზურაბ ნეფარიძის ინიციატივით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით პატრიარქის კურთხევით ისნის რაიონში წულაძის ქ. 23 ში ყოფილი საქვაბის ტერიტორია მთლიანად გადაეცა საპატრიარქოს - ბერი გაბრიელ სალოსის სახელობის ტაძრის ასაშენებლათ. ორი ნოემბერი გახლავთ ბერი გაბრიელ სალოსის ხსენების დღე. საკრებულოს დეპუტატის ზურაბ ნეფარიძის ინიციატივით ეს დღე უკვე მესამე წელია აღინიშნება როგორც სახალხო დღესასწაული. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით მომავალში დაგეგმილია საქველმოქმედო კონცერტი, საიდანაც შემოსული თანხები მთლიანად მოხმარდება ტაძრის მშენებლობას. წელს 2 ნოემბერს დაგეგმილია მსვლელობა ეკლესიური დროშებით და გალობით ბერი გაბრიელ სალოსის სახელობის მოედნიდან წულაძის ქუჩის მიმართულებით, იქ სადაც საფუძველი ჩაეყრება ბერი გაბრიელის სახელობის ტაძრის მშენებლობას. მოწვეულნი იქნებიან სტუმრები სხვადასხვა უწყებებიდან: მერიიდან, საკრებულოდან, საპატრიარქოდან, გამგეობასა და მუნიციპალიტეტიდან.

ერთად სიყვარულით ვაშენოთ ბერი გაბრიელ სალოსის სახელობის ტაძარი!



პატივისცემით,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი / ზურაბ ნეფარიძე/